8383000 3360

OButungu to 31რეშე ადგილებში: ბაგზავნით month & moh - 7 800. ნახევარის წლისა — 4 სამის თვისა — 2 — 50 ... მრთის თვისა — 1 Osmyg ghand Emahals

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით -sbm8g 1/2 303.

" . ტი ი ება გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

ലെയ്യുന്നു ഉപ്പോള പ്രവാള പ თფილისში — "დგომბის" რედაქციის კანტორაში, მელი-

ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბმატუნის სახლში. **ე**ფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакцін грузинской газеты "ВРЕМЯ".

ქუთაისში _ გ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწაფლე. ბელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ბეტორს ორი თვის განმაელობაში შეუძლია უკანვე მიილოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო " დროებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზაკნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

30600660:

საქართველო: ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე. — ს ღნაღიდან (" დროების" კორრესპონდენცია), -- წვრილი ამბები. — რუს ეთი: წვრილი ამბები. — უ ცხო ქვეყნები: -- პარიჟის არეულობა, — ბერმანია, ბვსტრია და მენგრია, — მსპანია, — იტალია. — ბმ კვირის ტელეგრამმები. ნარევი. — ბიბლიოგრაფიული განცხადებაები.

შელტონი: ყოელად ბედნიერი მხარენ. სკანდელისა

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ 803000000000

ძალიან ხშირათ გაიგონებთ ჩვენში სიტყვებს, had bojohoggam do bojohoggamb obonრიის და ლიტერატურის მცოდნე და მოყვარე ქართველები ძალიან იშვიათად მოიპოებაო, მართლაც, მგონია, ჩვენში ნაკლებათ არიან ისეთი პირები, რომელთაც თავის გეარტომობა, თავის ქვეყანა, ენა ლიტერატურა და სხვა საკუთარი თვისებები ახსოვდეს ან ზრუნავდეს იმათზედ. -

ეს კითხვა ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ დიდი ხანია მისცა თავის თავს; დიდი ხანია იგრძნო იმან, რომ ჩვენი ცხოვრების რიგიან გზაზე დაყენებისათვის და წარმატებისათვის βησο საკუთარი თავის გაცნო-

ფელტონი

ᲣM3ᲚᲐᲓ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

თფილისში, ჩემი ფელტონების მკითხველებს შუა, ერთი განსაკუთრებით ახირებული მკითხველი ურევია, რომელსაც მე მით უფრო დიდ პატივს ესცემ და რომლის სჯას მე მით უფრო მოწიწებით ყურს უგდებ, რომ ეს ახირებული კაცი ნიადაგ, დაუღალველათ, თავიდან ბოლომდი ჰკითხულობს ჩემ ფელტონებს. თფილისში ეს იშვიათი საქმეა, და ამ მიზეზით მე, რასაკვირველია, ყოველთვის იმას ვსცდილობ, რომ როგორმე ეასიამოენო ამ ჩემ მკითხველს და მის გემოვნებას მივყვე, მისი სურვილი დავაკმაყოფილო... რას არ იზამს კაცი, რომელსაც მაინცა და მაინც უნდა მკითხველები იშოვოს, რომ მის საუბარს ვინშე მაინც ყურს უგდებდეს!...

ეს ჩემი ახირებული მკითხველი ნიადაგ ერთ კილოზე მელაპარაკება, ნიადაგ ერთ და იმავე საყვედურს მასმენს: რაა, ვითომ—მეუბნება ის,—ცხოვრების უსიამოვნო და საწყენ მხარეებს რომ ჩაცივებიხარ, და შენი ნაწერით მუდამ შკითხველს გულს უკლავ ჩვენი რა უნდა აქ, მუთაისს, სეედას და ნაღველს გას, მშვენიერი პაწაწა ტბა, რომლის კამკამ,

ბაა აუცილებლათ საქირო; დიდი ხანია გაი- ზასაკეთებელი კი ამ საქმეში ჯერ კიდევ არ შეიძლება), სანატრელია, რომ ეს საქმე გო ჩვენმა საზოგადოებამ, რომ ამ ჩვენი თა- ძალიან ბევრია: ვინ იცის, რამდენი ჩვენი ისვის გაცნობას და ახლანდელი ცხოვრების რიქ ტორიული ცხოვრების შესახები ქაღალდები გიან გზაზე დაყენებას ყველაზე მომეტებულათ ჩვენი ძველი ცხოვრების, ჩვენი ისტო-ന്റെത്ര മുരുവം രാ താര്യാരാധായാത്രവ മാര്രത്താ დაეხმარება. ბი, ეს მნიშენელობა ჰქონდა, აქეს და ექნება ჩვენში ძველი ქართული წიგნების გამოცემას. მაგრამ რომლისამე საქმის გაგება და იმის ალსრულებაში მოყვანა ძალიან შორავენ ერთმანეთს. ჩვენი საზოგადოება რამდონმეჯერ შეუდგა, ხან მთაერობის შეწეენით და ხან საკუთრათ, ძველი წიგნების გამოცემას: ამ ოცი წლის წინეთ მაშინდელმა მთავარმართებელმა, თ. მარანცოემა, ყოველ-გვარი ლონისძიება მისცა უფ. პ. იოსელიანს ძეელი წიგნების გამოცემისთვის; შემდევ საზოგადოებაში შეკრებილი ფულით გამოსცეს პირველი წიგნი "ძალმასობისა"; ბოლოს, 1869 წ., თ. ბრ. Madgmastal თაობით, ჩვენს საზოგადოებაშივე შეიკრიბა ცოტაოდენი ფუ. ლი,რო მლითაც შარშან უუ. ბერძენოემა, წერეთელმა და უმიკაშვილმა "დავითიანი" გამოსცეს. მაგრამ, როგორც ხშირათ ემართება ხოლშე ჩვენებურ კაცს, საზოგადოებამ ვერ მოიყვანა სისრულეში თავის წადილი: იმის მოთაობას და მეცადინეობას დღემდი ორიოდე ძველი წიგნის გამოცემის მეტი არა გაუკეთებია რა. ჩვენ, რასაკვირველია, ამისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ; მაგრამ არ შეგვიძლია არა ესთქვათ, რომ იმ საშუალებითა და ლონის ძიებით, რომელიც; ჩეენ საზოგადოებას ჰქონდა და აქვს, უფრო მომეტებულის გაკეთება შეიძლებოდა.

მის სიმწარეს, რათ გეიშლი და გეიჩხრეკ მის საზიზლარს სურათებს, რათ არ გვიხალისებ გულს მშეენიერი და მომხიბელელი სურათებით, ისეთებით, რომ მათმა წაკითხვამ ერთი წუთის ვადით მაინც დაგეავიწყოს ჩვენი სევდა და გაგეიმხიარულოს ჩეენი დანაღელიანეპული გული? მოგვიტყუვე ჩვენ თვალი, გვიმლერე სიყვარული, ჩაგვაწვეთე გულში ხალისი, და დაე, თვითონ ცხოვრებამ, თავისი წვიპარტებით და მუშტით, გლიჯოს ჩეენში შენგან გამოხატული ნეტარების სურათები...

მკითხველმა იცის, რომ მე ხშირათ ვსდევდი ამ რჩევას, და თუ ყოველთვის აღტაცების კილოზე არ ვსწერდი ჩემ ფელტონებს, ძლიერ ხშირათ ხმას ვიკვნეტდი და სევდიანი სურათების ხატვას ხელს არ ეკიდებდი, როცა ეს სურათები თავისით ხტებოდენ კალმიდგან ჩემ თეთრ ქაღალდზე. მაგრამ დღეს, მუთაისში, ამ ჩვენი რიონის ნაპირს, მე სრულიად მზათა ვარ აღტაცებაში მოვიყვანო ჩემი ახირებული მკითხეელი და სამუდამოთ დავაკმაყოფილო მისი ახირებული სურვილი. მე გამოუხატავ იმას ისეთ სურათებს, რომ თა-

და მიწერ-მოწერა იპოეებიან თურმე დეპუტატების არებისა, სინოდის ანტორის და სხვა სასამართლოების არხივებში; ვინ იცის, რამდენი ჩვენი წარსული ცხოერების გასაცნობლათ ძვირფასი დოკუმენტები და ცნობებია ამ არხივებში გაფანტული; ვის არ გაუკონია, რომ დადიანს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩაო? 3ინ არ იცის, რომ თ. ზეა ნაწერი, ჩვენი "თავის თავის გასაცნობალექსანდრე წერეთელს, საჩხერეში, აუარებელი ძეელი ქართული წიგნები უწყვია თურმე ზანდუკებში? ბხლა მონასტრებში, საზოგადოებაში, კერძო პირების ხელში — რამდენი ძვირფასი მასალები მოიპოება, რომ პატრონი და გამრჩეველი იყოს ვინმე?

ჩეენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად თვილისის ერის საზოგადოების წრეში კიდევ არისო ლაპარკი ქართული ძველი წიგნების გამოცემაზე. ბმბობენ, რომ ეს წრე უფრო გულს-მოდგინეთ და უფრო მომეტებულის ღონის-ძიებიი პაირებს ამ საქმის შეღგომასაო. როგორც ჩვენ გაე-გონეთ, თუ ისეთი პირები აპარებენ ერთხელ კიდევ ამ საქმის დაწყებას და ხელის მომართვას, მაშინ, იმედი უნდა გექონდეს, რომ რამე გაკეთდება. ლმერთმა Jest, hand go bagan dahom cahrom bagason აი დარჩენ და ჩვენი საზოგადოების ნატერა, ძკელი წიგნების დაბეჭდვის თაობაზე, მალე മനുറത്യം ഗാധന്ത്ര നുരു

ჩვენი მხრით, აქვე ერთ სურვილს გამოვაცხადებთ: თუ საიმედო საშუალება იქნა (უაისოთ ხომ, რასაკვირველია, საქმის დაწყება

წუთი სოფელში. რაღათ გვახსენებ შენ მუდამ შუა, ნეტარების მეტს ალავი აბა რას უნდა სჩამს მუქი-მწვანილის და ხე-ხილის ლანდი, ჰქონდეს? დაეტკბეთ მაშ, ჩემო ახირებულო მკითხველო, სევდა იქით მივაგდოთ და ვიმღეროთ ბედნიერება, ხალისი, ნეტარება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი კაცის სიცოცხლეს ამშვენებს და აუცხოვებს.

> არ მინახავს, და როცა მე წლეულს ხელ-ახდა საუცხოვო ცვლილება არ მომხდარა შიგ! როგორ გამოცელილა მისი გარეგანი სახე, მისი ზნე, თვისება, მისი მცხოვრებლების ხასიათი და მღგომარეობა! შნახავს კაცს, როდისმე, ამისთანა საკეირველი ცვლილება, ამისთანა უეცარი გაუკეთესება და ბედი? მის მოსწრებია ამისთანა განსხვავების ნახვა, ვის მოუკრავს მისთვის თვალი ?...

ჯერ უნდა ნახოს კაცმა, როცა მუთაისს შედის, მუთაისის მშვენიერი და მშვენიერათ მორთული ბულვარი. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ცაცხვებით და სხვა ჩრდილიანი ხეებით შერაზმულია ეს ბალი, რა ნიავია მის ალლევის დღეში, მათი გადათვალიერების დროს, იებში, რა სიგრილეა მათ ჩრდილში!.. რა ხეიმას სევდა და ნაღველი არ გაახსენდეს. ან ლოვნურათ გაწყობილია შიგ, შუაგულ ალაცხოვრება უშენოთაც თავმომბეზრებელია ამ ამისთანა ბუნებაში, ამისთანა ბედნიერ ხალხს გრილ და წმინდა წყალში თვალთმაქცურათ

ისეთ პირებს მიენდოსთ, რომელთაც ნამდვილათ ესმისთ ძვ. ლი წიგნების ლირსება და იმ არხივებისა და ზანდუკების მტვერში, რომელშიაც იმყოფებიან ახლა ჩვენი ხელნაწერები, ისეთების გამორჩევა და დაბეჭდვა შეეძლოსთ, നമ്പിയ്യാറ്റ മാന്യാനം ഉട്യാര്യാന് നാർ വിക്ഷാനം ული მნიშვნელობა ექნებათ ჩეენთვის, რადგან უეჭვილია, რომ ყველაფერი, რაც კი ძველებულ ეტრატზე ან სქელ მწვანე ქაღალდლാന് გാർസ്യാന്റ്രുറ ടന് റപ്പ് റ്റിയാം

6096590858

(" დროების" კორრესპონდენცია)

სიღნალის უეზდი, ნაშეტნავად ის მხარე, რომელსაც ეწოდება თავი ძიზიყი, ამ ათთორმეტ წლის წინ ძალიან მდიდრად იყო: ყოველ სოფელში ცხოვრებდნენ იმისთანა ოჯახები, რომელთაც იმდენი ძროხა, ცხეარი, ღორი და სხვა საქონელი ყვანდათ, რომ თი-மாக க் புகழக்றக் மிக்கை கைழுக்கும்; கோதாறுக்கறுბის ქონება ათას თუმანს გადააქარბებდა. ბმ შემძლებელ ხალხს გარდა, თითქმის ყველა კომლს მოსდიოდა თავისი სამყოფი სარჩო; მათხოვარი და უქონო ძალიან იშვიათად იპოვებოდა. ეხლა კი სულ სხვა არის: მდიდრები ძალიან დაღარიბდნენ; და რომელნიც შუათანად ცხოვრობდნენ, ისინი ისეთ ვალში ჩაცვივდნენ, რომ, რაც მამულები აქეთ, სულ რომ დაყიდონ, კიდევ ბევრი დაედებათ თავზედ; ბევრნი აქეთ-იქით გადაცვივდნენ სხვა და სხვა ალაგებში, მუშაობის საშოვნელათ

maco and maggang bommaggan bamolnatan განაობს ჩამავალი მზის შუქი!... რა ლაზათიანი სანახავია მოვარაყებული და სხვა და სხვა მხეცების ტყავით მორთული პაწაწა ნავები, რომლითაც დასეირნობენ ტბაზე ბედნიერი ქუთაისელები, და ქეიფიანათ, ერთ წელიწადზე მეტია, რაც მე მუთაისი ნავის ნიჩბით, ოქროს და ვარდის-ფერ თევზებს ეთამაშებიან!... ნეტავი შენ, ბელავ ამ ქალაქში დავბრუნდი, მისი ცნობა დნიერო მუთაისო, რომ არაფრის დარდი არ სწორეთ გამიძნელდა. რა და რა ჩინებული გაწუხებს, და ასე სამოთხურათ შეგიძლია შენი ბედნიერი დღეების დალამება!...

> ამ ჩინებულ ტბას კარგა ადგილი უკავია. and fysme gho fysharegot amond, hadgლიც მუთაისზე გეარიანათ მოშორებულია. ტბის ამოთხრა, წყალის გამოყვანა, ნაეების და სხვა გაწყობილების დამზადება დამჯდარა მეტის — მეტათ იაფით; ქალაქს სულ ხუთასი თუ ექესასი თუმანი დაუხარჯაეს ამ საქმისთვის. მისაც გულში ცოტაოდენი ესტეტიკური გრძნობა აბადია, ვისაც ნამდვილი მშვენიერება და ლაზათი უყვარს, ის, რასაკვირველია, ადვილათ დამეთანხმება, რომ ეს ფული შეუნიშნავათ ცოტა რამაა იმ სიამოვნებასთან და სარგებლობასთან შედარებით, რომელსაც მისი დახარჯვა მთელ შუთაისს აძლევს. მართლაც, ხალისიანი სეირნობის გარდა მოვარაყებულ ნავებზე, რამდენათ ლირს

രാ താറ്ററി ധാന്നിറ്റമാതാം പ്രസാന്റർറ്റി നന്നു നന შეაწუხა ჩვენი ხალხი—ეს ცხადათ სჩანს შემდეგი ფაქტიდგან: ყველამ იცის, რომ ქართველის დედა-კაცი ძალიან მორცხვია: ქალი-რძალი კი არა, ბებერი დედა-კაციც, თუ hopeman of solding, oh condoms, oly bomban oh gongmol; doboyol Jomgon so, 3000 ohomgბი და ხან გასათხოვრებიც, იქამდინ მიიყვანა სილარიბემ, რომ სხედან სილნალის მეიდანზედ და ყიდიან გამომცხვარ პურებს, კვერცხებს, ხახვს, ნიორს, რძეს და სხ... სილნალელებიც താരനാნ റി പ്രാത്രൂർയ്ത്, പ്രാര്യാപ്പര് വിടത പ്രച്നნელს, ევაჭრებიან, უცინიან და ეარშიყებიან, თუმცა ბევრჯერ არაფრის ყიდვა არ უნდათ, მაგრამ აუვლიან და ჩაუვლიან ქალებს.....

თქვენ მკითხავთ: რა მიზეზია ამ შეცვლისა, ესეთი სილარიბე რათ ჩამოვარდა მიზიყში უკანასკნელ დროს?

მიზეზები, იქნება, ბევრი არიან, მაგრამ ეს კი აუცილებელია, რომ პირველი ამათში ვაჩის ავათმყოფობა არის. თითქმის მთელი წელიწადი ჩვენებური კაცი მუშაობს ვენიხში: ბარავს, თოხნის, მარგლავს, თიბავს, სხლავს, აწვენს, ფურჩნის, რწყავს, სარავს, ღობეს უდებს და სხ... ბმდენ ბევრ წვალებას ვენახიც არ უტარებდა უწინ ფუქად; სწორე მოგახსენოთ, ქიზიყელი კაცის ცხოვრება დამოკიდებულია ღვინოზედ: ღვინოს ყიდის, იმით იხდის ფოშტის ფულს, ჩაფარხანის ფულს, შკოლების ფულს და სხვათა და სხვათა.... იმით იცვამს და იხურავს, იმით ინახავს სახლობას და, ბოლოს, როცა კედება, იმით იყრის მიწას.

მს ათი — თორმეტი წელიწადია, ჩვენ დასალუპავათ, ვაზს გაუჩნდა რალაც ავათმყოფობა, რომელსაც ჩვენ "ნაცარს" ვეძახით. **ა**მ ნაცარს შეაყრის ვაზს და მტევანს, რომელნიც ამისაგან დაქკნებიან, ყვითლდებიან, ყურძნის მარცლები იხეთქება, გამოდის წვენი და მტევანი სრულებით ხმება. თუმცა ზოგ-ზოგი მტევანი სრულებით არ ფუჭდება, ნახევარი მარცელები სქდებიან და შრებიან, ნახევარი კი მთელები რჩებიან და იწურეიან, მაგრამ ლვინო ამათთანა მტევნებისგან ცუდი გამოდის. 3ენახს უწინდელი შრომა და მოვლა უნდება, godniogomo ja opoh shal ho. Jogo dagobსენოთ, რომ ქიზიყელი კაცი ღვინის მეტს ვერას ყიდის. პური იმდენი მოსდით, რომ ნეტავი იმათ ეყოსთ. ბხლა მიბძანეთ: რით უნდა მოიშოროს ჩვენებურმა კაცმა ის ვალდებულებანი, რომელნიც კისერზედ აწევს?

ქალაქის სიმრთელისთვის ის მშვენიერი ჰავა და სიგრილე, რომელსაც ტბის წყალი ბადაეს ბის, და იქ მუქთათ დასეირნობს მშვენიერ გამელელ-გამომელელის გული მოიგოს და მათ შუა. მხლა ისინი სამოთხის ბედნიერებას ფათ ერთმანერთზე პიდგმულია ეკკლესიები, ქალაქის ფულითაა გამართული, ყველას თურსახლები, დუქნები და ეზოები, და სადაც ნიადაგ დაგროვებულა დაუთვალავი ხალხი, მო- ბის... საქმე და მოსეირნე?...

an asbloge, had ad ghon fund forgon, შარშან ამ დროს, ეს ტბა საძაგელი რამ იყო. മുനുമുന്ന പ്രാസ്ത്രീന മിനത്തിന്റെനുന്ന നാന്രാവ എപ്പ ნო და უხეირო ორმო, რომელშიაც წვიმის დროს წყალი გროედებოდა, და რაც იმ არემარეს სადმე ბაყაყი იყო, შიგ გროვდებოდა და დილიდამ საღამომდი დაუბოლოებელ და გულის წამყვან გალობას იწყებდა. ორმოს ძირი, სიცხიან დღეს, მწვანე დამპალი ხაესით იესებოდა, და დამალპავი ბალახის და ქენქყოს ნისლი ორუბელსავით იდგა ბაღში და ახლო-მახლო ქუჩებში, და საწამლავსავით ბოლოს უღებდა ქუთაისელებს. რა განსხვავებაა ეხლა ამ სურათისგან? მას აქეთია, რაც წყაროს წყალი ნიადაგ სწმენდს და აესებს ამ მშვენიერ ტბას, რაც მისი ნავები წამის-წუმ აქეთ-იქეთ დატრიალებენ, და მის მშვენიერ მაგარ ხიდებზე ჩინებულათ მორთული მცხოვრებლები დასეირნობენ, —ბაღში ცხოვრება სამოთხეთ გადიქცა, და დღეს მუთაისში კაცი മ്പോൻ നില്ലായ പ്രവാധ വെ പ്രവാധ വെ വ്യാര്യം

რით ჩაიცვას, დაიხუროს, რით უნდა გაpoorboomb of Ambroomo, of Goommoo, if doცვალებულს როგორ უნდა მისცეს უკანასკნელი პატივი? სუყველა ამაებს ქიზიყელები ახლა ვალით და ვალით იხდიან. ძნელათ იპოვნით რომელსამე მიზიყის სოფელში ისეთს ന്യാർസ്- പ്രത്യൂർ ക്യൂർ പ്രത്യൂർ പ്രത്യ ემართოს. შველანი თითქმის ისეთ ვალში ჩაცვივდნენ, რომ დღესვე რო მოინდომონ სილნალელებმა, თითქმის მთელს ქიზიყს ჩამოართმევენ ვალში ვენახებს და სხვა მამულებს და კიდევ ბევრი ვალი დარჩებათ სოფლელებსა...

მაგრამ სიონაღელები ქკვიანი და მოხერხებულები არიან, და ჯერობით არ ართმეგენ ვენახებს: იმათ რომ ეხლა ვენახები ჩამოართვან, ხომ უნდა აკეთონ, მაშასადამე, უნდა ხარჯონ, შემოსავალი კი არა ექნებათრა. Saul olga ob sh bandost, had bagangads კაცმა აკეთოს ვენახი, თუ მოუვა რამე, სიღნაღელი წამოიღებს, თუ არა მოვარა, ტყუილათ ჩაიელის სოფლელი კაცის შრომა და არა სიღნაღელისა.....

ერთი იმედით იბრუნებს ჩვენებური კაცი სულს: ამბობს, "იქნება ღმერთმა ბრძანოს, გადავარდეს ავათმყოფობა ღვინისა, ისევ უწინდებული დროება მოგვიბრუნდესო".

მხლა ჩვენში ვაზმა გამოიტანა მტევანი, მაგრამ ზედ აჩნევია, რომ ავათმყოფობა არ მოშორებია. თავის დღეში არ დამავიწყდება შემდეგი სცენა. ერთხელ სოფელში ვენახიდგან გავედი ერთი გლეხ-კაცის ვენახში. ვენახის პატრონი, საყელო ჩამოწყვეტილი, გალაფული უყურებს ერთ რომელსაც ძალიან ასხია ყურძენი, მაგრამ ნაცრისაგან სრულებით გაფუჭებულა; დამინახა თუ არა, დამიწყო ლაპარაკი ნაცარზედ და ისე-തര გრძნობით ილაპარაკა, რომ ძალიან ჩამაფიქრა. ბოლოს დაიქნივა თავი და თითქმის ტირიmol basa bodgo: "Commos, Caghon, Boto სამართალი! შიმისოთაც საწყალ გლეხ-კაცებს ეს უბედურებაც რათ მოგვავლინე!"

თუ ესეთია ცხოვრება სახელმწიფო გლეხ თა, ადვილათ წარმოსადგენია, როგორ მდგომა რეობაში არიან ნაყმევნი, რომელთაც უფრო მომეტებული ვალდებულება ადევთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი ნაბატონეებ მოსავლის მეოთხე ნაწილის მაგიერად, ერთის სიტყვით მოურიგდენ გლეხებს: წელიწადში უნ. და მოგეცე ამდენი პური, ამდენი ღვინო და

დე თავისუფალ წუთს, მაშინვე ბალისკენ მირ- რომით და მონაგებით ისე მოიკაზმოს, რომ უკმაყოფილებაც თურმე სრულიად გამქრალა მე ნება აქვს აქ ამ საგნებით მუქთათ ხმარე-

മാനത്ത ქეიფში და სეირნობაში კი არ არის ბოდა შინ წელ-მოწყვეტილი და დასევდიანებული კაცი გარეთ მარტო სევდის გასადენათ გამოდიოდეს და ცოტა ხანს შემდეგ ისევთავის მომბეზრებელ ვაი-ვაგლახს უბრუნდებოდეს. მუთაისელები ამ შემთხვევაშიაც გაბედნიერებული არიან. მათი მინაური ცხოერება მეტის-მეტათ ტკბილი, წყნარი და ხალისიაგებულ ორ-სამ გროშს მდიდრულ ტანსაცბებულ სტუმრობიას ეწაფებიან, არც ქეიფს, ცხოვრების იმ გვარათ გამართვა, რომ ქმარს იარებოდა... შინ ყოფნა, სახლში შესვლა ეხალისებოდეს და უყვარდეს, და შინაური ხალისიანობა იმას

სხ.... რამდენი ხანია ჩვენში ღვინო არ მოდის კარგათ, მაგრამ მებატონე, ერთმანეთში შეკრული პირობის გამო, სთხოვს გლეხ-კაცს გადაწყვეტილს ხარჯს. რასაკვირველია, ძალიან <u>ცუდ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ეს საწყ-</u> ლები, რომელთაც პირობა მიუციათ და მოუსვლელობის გამო, ვერ ასრულებენ აღთქძას. ამ საგანში ყველაზედ უფრო გულის-მოსაკლാദ്വര വി ചനവം, നന്ദ് മനുവ്യന്ത്ര ച്യാനും മ്യാ ნაბატონეები, რომელთაც განათლებულებს ეძახ იან, უფრო სუსხათ ეკიდებიან გლეხკაცს, სანემ ჩვენი ჭკუის ნაბატონეები.

ჩვენ გაგეიგია, რომ სხვა ქვეყნებშიაც ყოფილა გაზის აეათმტყოფობა, მაგრამ რალაც წამლები უხმარიათ და სრულიად მოუშორებიათ თავიდამ. ჩვენ ქვეყანას რალა დაემართა? ჩვენცა გეყვანან შემძლებელნი კაცნი, რომელთაც შეუძლიანთ იშოვნონ, რაც საჭიროა; ჩვენც გვყვანან სწავლული კაცები... რატომ არაფერს გვიშველიან? რატომ არ მოიკითხავენ, რა წამალი მოარჩენს ჩვენ ვაზის ავათმყოფობას, რატომ არ გამოსცდიან და ჩვენც არ დაგეიხსნიან ამ ჩვენი დამაზიანებელი სენისაგა6?

n. dangagma

Unmasmo.

"თერქის უწყებაში" სწერენ: "ჩვენ გეაქვს შემთხვევა ვაცნობოთ ჩვენ მკითხველებს ერთი ძლიერ სასიამოენო და, ეგონებთ, ბეჯითი ამბავი, რომ ხელმწიფე იმპერატორს გადაუწყვეტია, თუ რომელმამე განსაკუთრებითმა შემთხვევამ არ დაუშალა, წელს ზაფხულს ძავკასიაში წაბრძანება.

ერთს რუსულ გაზეთს გაუგონია, რომ შემდგარა ერთი კერძოობითი საზოგადოება, handgambay adab abhas sommb gohamo, at იყიდოს ძავკასიაში ისეთი ადგილები, სადაც ქვის-ნაშხირის მადნებია გამოჩენილი. ამას გარდა ამ საზოგადოებას ჰსურს თურმე ამ ქვისნაშხირის მადნიდამ თვილისის რკინის გზამდი რკინის გზისვე რტო გაიყვანოს, რასაკვირველია იმისთვის, რომ ნახშირის გადატანა გაადვილდეს და თან გაიეფდეს.

mylgond gothmanls os formanion loom-

შუაგულ ქალაქში, სადაც ჯგუფ-ჯგუ- ნავებში. რადგანც ტბაც, ბალიც და ნავებიც გრძნობა ააღელვოს, არა, ის ყოველთვის იმაზეა მოცადინე, რომ ქმრის სიყვარული და პატივის-ცემა შეურყეველათ შეინახოს, და ქმრის სახელის გაპატიოსნებით თავისი საკუosho osgo sodsomal ...

ბედნიერი მუთაისი. დიდი საქმე როდი იქნე- რებდა ჩვენი ქუთაისელი ქალი. მისთვის მთე- ნახოთ—თორემ ისე ვერ დაიჯერებთ—რა ნა-სასწავლებელში ის მარტო იმისთვის სწავლო- თი გული, ერთი გრძნობა, რა ძმობა და ერბდა, რომ ქების ქაღალდი ან ჯილდო მიე- თობა, ურთიერთის სიყვარული და დახმარეღო, და მით საზოგადო ყურადღება მიექცია; ბა აღელვებს ერთ ნაირათ ყველას გულს და საზოგადოებაში ის მხოლოდ იმისთვის გამო- სიცოცხლეს! უწინ რომ ერთი მეორეს ორდიოდა, რომ თავისი ტანსაცმელის სიმდიდ- მოს უთხრიდა, ერთი მეორის დალუპვას, მისი რით თავისი მეზობლის თვალი მოეჭრა და ქონების შერჩენას სცდილობდა, და ყველა ნია. ბქ ქალები როდი იპრანჭებიან, და თა- სიხარბე აეღელეებია. ის თავის ლაპარაკის თავის გაკეთებას სხვის დაქცევაში ეძებდა, ვიანთი ქმრების გაჭირვებული შრომით მო- ნიჭს, ენას მარტო იმისთვის ხმარობდა, რომ თავისი ახალი ტანთსაცმლის და შინაუმელში როდი ლუპვენ. ისინი არც გადაქარ- რი გაწყობილების ძვირფასობა ექო და თავისი სიმდიდრით ეტრაბახა... წირვა-ლოცვა არც თამაშს. მათი ნიადაგი ფიქრი და ზრუნ- რაა, —აქაც კი ქუთაისელი ქალი თავის ტანვა ისაა, თუ რა ნაირათ მოახერხონ შინაური საცმელის და სიკეკლუცის გამოსაჩენათ და-

ადაგ იმას კი არ ცდილობს, რომ მისი ნაშ- და ქმარს შუა დავა და განხეთქილება. დასდევდა ყოველი კაცი და მთელი საზოგა-

გადოებაში აპრილის 30-ს სხვათა შორის ა-ეკასიის რკინის გზაზე იყონ ჩმტლობალაქება. შფ. ბენტკოვსკიმ წარადგინა თქეის სბმთშიურა, რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ ძავკასიის რკინის გზა სტავროპოლზე უნდა გადმოვიყვანოთო. ზემოხსენებული საზოგადოება, ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, სრულიად დაეთანხმა უფ. ბენტკოვსკის პროექტს.

4arguu

რუსულ გაზეთებში ამ ჟამად გაცხარებული პოლემიკაა გამართული იმის თაობაზე თუ რომელი გიმნაზიები, და საზოგადოთ სწაელა, უფრო გამოსადეგია რუსეთის ახალ-გაზდობისთვისო: კლასიკური, თუ რეალური; ე. ი. ლათინური და ბერძნული ენების სწავლა უფრო ავარჯიშებს ყმაწვილის გონებას, ხსნის იმას და არგებს კაცს ცხოერებაში, თუ ბუნებითი საგნების, ტეხნიკური და მეურნეობის მეცნიერებისა და ახალი ენებისაო. მრთი მხრით (კლასიკური სწავლისაკენ) "მოსკოვის უწყებებია" და მეორის მხრით (რეალურისაკენ) თითქმის ყველა პეტერბურღის გაზეთები და ჟურნალები და განსაკუთრებით ჟურნალი "მვროპის მოამბე" და ორი გახეთი: "ხმა" და "პეტერბურლის უწყებები". მს პოლემიკა გაიმართაიმის გამოისობით, რომ ამ ჟამად სახელმწიფო რჩევაში კამისიაა დაწესებული, რომელიც იხილავს გიმნაზიების სწავლას და ახალი პროგრამმა უნდა გამოსცეს საშუალო სასწავლებლებისთვის. დღე არ გავა, რომ ზემოხსენებულს გაზეთებში სტატია არ იყოს ამ საგანზე. ბაზეთის "ხმის" მე 118 №-ში დაბეჭდილია სხვათა შორის ერთი უშველებელი სტატია გამოჩენილის ისტორიკოსის მ. პაგოდინისა, რომელიც ამ საგანზე აი რას ამბობს commanh sanhall sa min abhol amhong alsos: "ნამდეილი ძლასიკური გიმნაზიები სატახტო და უნივერსიტეტის ქალაქებში უნდა გაიმართოს, ისიც გამოსაცდელათ. დანარჩენ ყველა გუბერნიებში რეალური გიმნაზიები უნდა დაწესდეს, სადაც უნდა ასწავლონ: — ბუნებითი საგნები, ისტორია, რუსული ენა, ერთი და ერთი ძველი ენა (ბერძნული ან ლათინური) და ორი ახალი ენა. შველა სასწავლებლების კარები ლია უნდა იყოს: მოსწაგლეები ყოველ სასწავლებელში იმდენი უნდა მიიღონ, რამდენიც დაეტევა. სწავლისთვის ფასის გადახდა, განსაკუთრებით ღარიბებს, უნდა შეუმცი-

ერთათ, ამხანაგურათ, შეუცილებლათ სმენ, და დამსწრეთ, მოზიარეთ ცოლქმარს ეხლა ნეტარების მეტი აღარავინ ყავთ...

საზოგადო ცხოვრება ხომ ამაზე უფრო შწინ, ოდესმე, სულ სხვა ნაირათ ცხოვ- მშვენიერათ და კეთილათ გაშლილა. შნდა სადაა ეხლა ეს საძაგელი განხეთქილება და ბილწიერება !! ის გამქრალა, როგორც კომლი. — უნდა დააკვირდეს კაცი, რა ერთსულო-დო სარგებლოსისთვის, როგორ უკედება იმას გული მახლობლის უბედობით და რა აღტაცებით შესცქერის ის თავისი მსგავსის სიკეთეს და კეთილდღეობას! როცა მუთაისზე ამის გამო ქუთაისში ეხლა თურმე სრუ- რკინის გზა გამოყავდათ, რა დაუღალველომუდამ ამხნევებდეს, ბქაური ქალი ნამდვილი ლიადაც აღარ ისმის ქალების ნიადაგი ქიშპო- ბით ცდილობდა ამ საქმეზე ყველა ერთათ და სიყვარულით შესტრფის თავის ქმარს, და ნი- ბა და ენის მიტან-მოტანა, არ ისმის ცოლსა თითოეული ცალცალკე, როგორი სიმხიზლით

რონ იმ პირობით, რომ შემდეგში, როცა შეძლება ექნებათ, უნდა გადაიხადონ.

ბპრილის 25-ს "პირუტყვების დამფარველ საზოგადოებაში" პეტერბურღს უფ. ჩვერსენმა წაიკითხა პუბლიკური ლექცია იმაზე, თუ რამდენ ზიანს აძლევს რუსეთის მეურნეობას მავნებელი ბუზანკლების გამრავლება და სასარგებლო ფრინველებისრიცხვის შემცირება. მოკლეთ მოგეყავს უფ. იეერსენის ლექციის შინაარსი, რომელსაც ჩვენ, უფრო მომეტებულათ თაურა ნაკლებათ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება: რუსეთში კანონისაგან დაფარულია მხოლოთ ის ფრინველები, რომელნიც საქმელათ ვარგან და რომელთაც მონადირეები დასდევენ. დანარჩენ ფრინველებს კი, რომელნიც თუმცა საქმელათ არ ვარგან, მაგრამ ეჟურნეობაში გამოსადეგნი არიანმით, რომ ისინი მავნებელ ბუზანკლებს სჭამენ, სრულიად უმოწყალეოთ ხოცვენ და იმათ ამოწყვეტა არც კანონითაა აღკრძალული. ბი, ეს არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ ჩვენ გუბერნიებიდამ ხშირათ მოდის ამბავი, რომ ბუზანკლებმა მთლათ ყანები და ხეხილები გაგვიფუჭაო. შმეტესი ნაწილი ამ მავნებელი ბუზანკლებისა ისეთ გვარისანი არიან, რომ იმათი სდევნა, იმათი ამოწყვეტა კაცს, თავის საშუალებით, არ შეუძლია. შველაზე გონიერი და სასარგებლო საქმე ის იქნება, რომ ჩვენ არა თუ ესდეედეთ, არამედ ეამრაელებდეთ იმ ფრინველებს, რომელნიც მავნებელ ბუზანკლებსა და ჭიებს სჭამენ. ჩვენ კი სულ წინააღმდეგათ ვიქცევით. შუ. ივერსენის გამოანგარიშებით, რუსეთში ყოველ დღიურზე ორ მანეთ ნახევრის ნამუშავარი ფუჭდება ასე რომ რუსეთს ყოველ წელიწადს უკანასკნელი ერთი მილიარდის (ათასი მილიონის) ზიანი აქვს მავნებელი ბუზანკლებისაგან. შფ. ივერსენმა ჩამოთვალა რამოდენიმე მავნებელი ბაეზანკლები, რომელნიც უფრო მომეტებულათ ვნებენ მეურნეობას და რომელთ მოსპობა მხოლოთ იმათ მქამელ ფრინველებს შეუძლია. მავნებელ ფრინველებს ეკუთვნიან ორბები, ქორები, შავარდენი და სხვა მტაცებელი ფრინეელები. სასარგებლო ფრინველები არიან: ბულბული, შოშია, შაეშვი, კოდარა მტრედი, მწყერი და სხვანი, რომელნიც ბუზანკლებითა და ჭიებით რჩებიან. მაგოამ, საუბედუროთ, ყველა ამ სასარგებლო ფრინველებს

დოება მის წარმატებას, და რა ძმური, ამხანაგური დანმარებით მრომობდა ყოველი კაცი მისი მოსაგებათ. მაგიერათ, რა ჩინებულათ ბულ ბედი მოელის ეხლა ამ პაწაწინა ქალაქს, რომელსაც თუმც რკინის გზის ხაზი შვიდ ვერსზე ასცილდა, მაგრამ სამაგიეროთ პაწაწა რკინის გზის შტო ექნება. ეხლა მთელი მუთაისი ალტაცებით შეხარის იმ აზრს, რომ ეს შტო გაუკეთდება, და შემდეგში ამ შტოს მთელი რკინის გზა მოებმება... დარწმუნებული იყავით, რომ ქუთაისელები სრულიადაც არ მიიძინებენ ამისთანა მშვენიერი ოცნების და მომავალის სურათზე. ბრა, ისინი თავდაუზოგველათ ყოველ საშუალებას იხმარებენ, რომ როგორმე ეს ჩინებული და მშვენიერი მომავალი გაუმზადონ და დაუახლოვონ თავის სამშობლო ქალაქს და მთელ ჩმერეთს... ბმისთანა საუცხოვო ნაყოფი მოაქვს საზოგადო ერთგულობას და შრომას საზოგადო სიკეთისთვის...

მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგ ჩემ მკითხველს ეს სურათები ან ხუმრობათ ეჩვენება, ანადა აღტაცებულ აწერათ. ბმ უკანასკნელ შემთხვევაში, ისინი იფიქრებენ:
შენ მაღალი ან შემძლე საზოგადოების
ცხოვრებას სწერ, მაგრამ ხალხზე კი არას ამბობო. ხალხი გი ალბათ ჰუთაის შიაც იმავე

საშინლათ დასდევენ და ბევრს ხოცეენ, მაშინ როდესაც ჩვენ ყოველს ღონის-ძიებას უნდა ეხმარობდეთ იმათ მოსაშენებლათ. ბმ ღონის-ძიებებში სხვათა შორის გამოსადეგნი არიან: ტყეებში პატარა ბუდეების გაკეთება, გავრცელება ხალხში ამ ფრინველების მარგებლობის დი ყველაზე უპირველესი კი ის, რომ თვითინ მთავრობამ მიაქციოს ამ საგანს ჯეროფანი ყურადღება და კანონით აღუკრძალოს მონადირეებსა და სხვებს იმათი ტყუილ-უბრალით ხოცეა.

იმ საზოგადოებამ, რომელშიაც უფ. ივერსენმა წაიკითხა ეს საინტერესო ლექცია, შეადგინა ცალკე კამისია, რომელმანც უნდა მოსძებნოს საშუალება ამ საქმის თაეობაზე.

მარშავში ქალებისთვის რამდონიმე სახელოსნო შკოლაა გამართული. მრთს ამნაირს
შკოლაში, რომელიც შმიტის ქალმა გიმართა
ამას წინეთ, ქალებისთვის ლექციების კითხვა
დაიწყეს. მარშავის გაზეთში აცხადებენ ახლა,
ბუნები
რომ, მთავრობისგანკარგულობით, ამ შკოლაში
ლექციების კითხვა მოისპოო.

სამარის ერობას გადაუწყვეტია, რომ ამ ქალაქში ყოველ ზაფხულობით ყველა სახალხო შკოლების მსაწავლებლები უნდა შეიკრიბონო. ბმ შეკრებას ის აზრი ექნება, რომ ერთი რომელიმე გამოცდილი პედაგოგი წაუკითხავს იმათ ლექციებს, რომლითაც გააცნობს—თუ როგორ უნდა ყმაწვილებს საგნების სწავლება და სწავლის დროს მოპყრობაო.

პორონეჟში მოკედა ამ მოკლე ხანს ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელიც თავის დღეში უაზრო ლექსების ჯღაბნისა და უხეირო ხატ-ვის მეტს არაფერს არ აკეთებდა თურმე. ბმას-თანავე, როგორც თითქმის ყოველ ვაჭარ და განსაკუთრებით მდიდარ ვიჭარს შეეფერება, მეტის-მეტი ძუნწიც იყო, ასე რომ რომელიმე კეთილი საზოგადო საქმისთვის კაპეიკსაც ვერ დააძრობდა თურმე კაცი. მაგრამ სიკედილის ჟამს უთუოთ სანანული ეწვია და ანდერძი დასტოვა, რომლითაც 30,000 მან. უანდერძა სახალხო შკოლის გასახსნელათ და 20,000 მან. ამ შკოლასთან სახელოსნო განყოფილების გასამართავათ. ბმას გარდა 300,000

მდგომარეობაშია, როგორც ყოველგანო... შემცდარი ხარ, ჩემო საყვარელო მკითხველო, შემცდარი ხარ ამ შემთხვევაშიაც.

ბზაზე და აქ, მუთაისში, მე ბევრი გლეხი ვნახე, და ბევრს გამოვკითხე მათი ყოფა-ცხოვრების ამბავი. პოველგან მესმის აღტაცება, ნეტარი გულწრფელობა, ღეთის მადლობა და სხვ. სამდურავს იშვიათად მოჰკრავს აქ კაცი ყურს, და თუ მოჰკრაეს, უსათუოთ ის ტაროსის უხეირობაზე ან ჰავის სიავეზე იქნება. მებატონეებზე ჩივილი არსაით ისმის. ისინი თურმე ისეთი თავაზით და გულკეთილებით ილებენ თავიანთ ხვედრ "ნადელის" ბაჟს, ესე იგი გლეხი-კაცის შემოსაელის მეოთხედს, ისეთი გულის შეწუხებით და სამძიმრით ახდევინებენ ხოლმე თითო-ოროლა მანეთს, როცა გლეხის საქონელი მათ მიწებზე ბალახს მოძოვს, რომ გლეხი-კაცი ბედნიერათ რაცხს თავის თავს ამისთანა გრძნობის დამსახურებით და მხიარულათ იძლევა თავის ხვედრ გადასახადს. სასოფლო სასამართლო ხომ არის და არის... როცა მე ვკითხე აქაურს გლეხებს, წელიწადში რას იხდით მეთქი, ყველაშ ერთნაირათ მიპასუხა, სახელმწიფო გადისახადი მცირე რამ არისო, სულ არ იქნება ხუთი ექვსი მანეთი წელიწადშიო. ბმას გარდა ე ნდომიკეს ფულიც გეხდებაო.

— 3ინ მნდომიკესი? მეთქი, ვკითხე მე ვდის, როგორიც რკინის გზის მუშებს ემარ-

მან. უანდერძა ღარიბ ვაჭრების და მოქალაქეების ქალებს მზითვათ. მაგრამ ამ ვაჭრის
მემკვიდრეებს საჩივარი შეუტანიათ პორონვჟის სასამართლოში დი თხოულობენ თურმე,
რომ ეს ანდერძი დაირღვიოს, რადგან იმის
დაწერის დროს, ვაჭარი ჭკუაზე შეშლილი
იყო. ბმის თაობაზე ახლა საქმე წარმოებს ზემოხსანებულს სასამართლოში.

იმ არეულების გამო, რომელიც ამას წინეთ იყო ოდესაში, ქალაქის მმართველობას გადაუწყვეტია, რომ სამიკიტნოების რიცხვი უნდა შევამციროთო. რუსულ გაზეთებში ბევრს სწერენ ახლა თვითონ ოდესის წასულ არეულობაზე; სხვათა შორის ზოგიერთ გაზეთებს არ მოსწონთ, რომ რამდონიმე კაცი (და იმათ შორის ერთი დედაკაცი და ერთიც თოთხმეტი წლის გიმნაზიელი) გაუროზგაეთ არეულობის დროს.

aara 1309209U

SOMMERS SUBNACE

ეკანასკნელ დრომდი თითქმის ყველა პარტიცბი 3ერსალის ნაციონალური პრებისა ემადლერებოდა თავის პრეზიდენტს-ტიერს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამან გამოაცხადა, რომ შულ- Фავრს, შულ-სიმონსა დაპიკარს ის არ მოიშო. რებს თავის სამინისტროდამ, ნაციონალურ კრესაში ტიერზე უკმაყოფილება ასტყდა; განსაკუთრებით ძრების მარჯვენა (კონსერვატიული პარტია და იმის მომხრე გაზეთები დიდ წინააღმდეგობას უწევენ თურმე ტიერის ყოველ განკარგულებას და ჰკიცხავენ იმის მოქმედებას. ბმას გარდა ტიერს ჯარშიაც, აფიცრები და ღენერლები, ძალიან ემდურიან: ის ერევა სამხედრო და ომის საქმეებში, რომელშიაც არაფერი არ ესმისო და ჩვენც გვაბრკოლებსო, ამბობენ ჯარის უფროსები. როგორც, მაგალითად, არტილერიის აფიცარი არ ივარგებს ტიერის ადგილას, ტრიბუნაზე, ისე არც ტიერი ვარგა ამ აფიცრის და განსალთრებით იმის წინამძოოლის ადგილასაო.

გაკვირვებით,—ენდრონიკეს. თუ **პ**ნდონიკაშვილის?

— ბრა, ბატონო გადაშენებულ ოჯახების გადასახადი ჩვენ ყველამ ერთნაირათ უნდა ეიხადოთო. ხან ათი შაური გეხდება, ხან ერთი მანეთიო. მე მიეხედი, რომგლეხი ნ ე დ ო ი მ - კ ი ს ფულზე ლაპარაკობდა, და სიცილი ვერ შევიკავე.—ბმას გარდა, გააგრძელა გლეხმა, ჩვენ ხანდისხან ეკკლესიების ასაშენებელი ფული გეხდება თითო ოროლა მანეთი, ხანდისხან სასოფლო კანცელარიის საყიდი, ხანდისხან მისი გადასატან-გადმოსატანი, გასაფართოებელი, ხანდისხან შკოლის, გზის და სხ. სულ ერთ თუმანზედ მეტი არ იქნებაო.

— სამუშაო გაქვთ რამე, ვკითხე, ფულს აღვილათ შოულობთ, მეთქი?

— ასე, ბატონო, ერთ რიგით. მხლა რკინის გზას აკეთებენ, მუშას სამი აბაზი ეძლევა
ხანდისხან დღეში. მაგრამ მოცლა არა გვაქვს:
თითო ოროლა კაცი ვართ ოჯახში, და შინაურ მუშაობას უნდებით, ხვადაგის მწყესვას,
და სხვ. ჩვენ გზების კეთებაზე გაწვევა გვირჩევნია, მთაერობის ბრძანებით. Оქ მართალია,
ქირას არ გვაძლევენ, და თითო კვირაობით
გვამუშავებენ ოთხ-ხუთ თვეში ერთხელ.
მაგრამ მაგიერათ, ისეთი საქმე მაინც არ მოგ-

ტიერის მოწინააღმდეგე გაზეთებში ბევრი მაგალითებია მოყვანილი, რომელნიც ყმტკიცე-ე ბენ, რომ, იმის განკარგულების წყალობით, მერსალის ჯარს რამდონჯერმე წაუგია საქმე და ინსურგენტებს დაუმარხებიათ ისინი.

- რადგანაც პარიჟის გარეშემო თითქმის ყველა რკინის გზები და ტელეგრაფის სტანციები მერსალის მმართებლობის ხელშია და პომუნას კავშირი არა აქვს საფრანგეთის პროვინციებთან, ამის გამო მაისის სამს იმას აუშვია პარიჟიდამ ჰაეროსტატი, რომელიც პროკლამაციებითა, დაგაზეთებით ყოფილა დატვირთული და რომელიც პომუნას ჰსურდა პროვინციებში გაევრცელებინა, რომ იქიდამაც დახმარებოდნენ პარიჟელებს. ჰაეროსტატი დიდ ხანს ერთ ალაგას იყო თურმე პარიჟის პირდაპირ, ჰაერში, გაჩერებული, მერე წაელო ქარს და ჯერ არავინ არ იცის-საითკენ წაილო റിച്ച് രാ പാര കാരിന്യാന്ത്രാ. പ്രവിത്യാര് രന്നു പിന്നു შვებით აპირებს ამისთანა ჰაეროსტატების აშვებას, რომ შეატყობინოს პროვინციებს—რა dogadshgads das Johngob boddg, of hagah უნდა დაეხმარონ ისინი ამ მუშების და ქალა-Agant andmondal bofagles.

— პომუნამ დააწესა ახალი უზენაესი მმართებლობა, რომელსაც ჰქვია "პომიტეტი საზოგადოების დაცვისა" და რომელიც ყველა სამხედრო და შინაურულ საქმეებში განუკითხავათ მოქმედებს; ამ კამიტეტში სხვათა შორის ტელიქს პიაც ურევია. 30 აპრილს (12 შაისს) "საზოგადოების დაცვის კომიტეომა" გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: "ძომუნასა და რესპუბლიკას მოელოდა ღალატი; ზოგიერთი ჩვენთაგანები ისე უსინიდისოები გამოდგნენ, რომ მერსალის ოქროში გაცვალეს თავის სახელი, პატიოსნება და რესპუბლიკა. მოღალატეებმა ჯერ განგებ წაახდინეს საქმე ისსის ფორტში (პლუზრეზე ამბობენ), მერე იმათ თვითონ პარიჟის კარების გაღება უნდოდათ. შმეტესი ნაწილი დამნაშავეებისა დატუსაღებულია. ბხლა ჩვენ არა გვიშავს რა: ისსი ისევ ჩვენ ხელშია, აგრეთვე 3ანვრის რორტიც, სადაც მრუბლეესკი დგას თავის მხნე ჯარითა".

— ძლუზრეს მაგიერათ სამხედრო საქმეების გამგებელათ ძომუნამ როსელი დანიშნა; ახლა გაზეთებში სწერენ, რომ ძომუნას როსელიც დაუტუსაღებია და ამის ნაცვლათ ღენერალი დ ე ლ კ ლ უ ზ ი დაუნიშნაეს. ძომუნის ყეელა

თებათ: ზოგი უთითო ბრუნდება შინ, ზოგი უხელო....

შოელად ბედნიერი ქვეყანა არაა ეს ჩვენი იმერეთი, ჩემო მკითხელო? სად, რომელ ქვეყანაში სცხოვრობს ასე კარგათ ხალხი და საზოგადოება, ქალი და კაცი, სადაა ამისთანა ნეტარება და კეთილდღეობა, სად სტკბება ამისთანა ბედნიერებით ადამიანის ბუნება? სადაა ისეთი ქვეყანა, რომ ამისთანა ნათელ ცხოვრებას და სურათებს გვერდით ბნელი ჩრდილი არ უდგეს, და მისი შავი ლანდი უმჯობეს ნეტარებას არ შხამაედეს?....

მხლა, ჩემო ახირებულო თფილისელო მკითხველო, შენ მაგონდები. რას იტყვი: დავაკმაყოფილე მე შენი სურვილი, გიამბე ნეტარი
ამბები, დაგიხატე მშვენიერი სურათი, თუ არა?
ხომ დაგიხატე, ხომ გიამბე, ხომ დაგაკმაყოფილე? მაშ შემდეგში,ჩემო ახირებულო მკითხველო, ცოტაოდენი მოთმინება იქონიე,
და ხანდისხან სევდიანი სურათების გამოსახეის ნებაც მომეცი, თორემ სულ დღევანდელისთანა სურათები რომ გიხატო, მათი ნეტარება შენც მალე მოგეწყინება, მეც და ყველა
ჩვენ მკითხველებსაც.

8 მაისს, 1871 ძუთაისს xohol fotodomagenon jo Qmodhaglyo odmyh-

_ ქომუნის გადაწყვეტილებით, ზოგიერთი პარიჟის საყდრები, რომელნიც დღემდი დაკეტილნი იყვნენ, ახლა კლუბებათ გადაუქცევიათ. ერთი ბელგიური გაზეთის სიტყვით, ამ საყ-ര്ന്റെ പ്രത്യം പ്രത്യാക്കുന്ന സ്ഥാന് പ്രത്യാര്യം მე და ნასადილევს კი იკრიბება ხალხი და სხვა და სხვა საზოგადო საქმეებზე აქვთ მოლაპარაკება და სჯა.

80685505

მკითხველმა იცის, რომ ბისმარკი, ჰულ-**Ф**აერი და პუიე-პერტიე (საფრანგეთის ფინანსის მინისტრი) არანკრურტში შეიყარენ ამას წინეთ დაბოლოებით მორიგებაზე მოსალაპარაკებლათ. ბაზეთებში სწერენ ახლა, რომ იმათ გაუთავებიათ საქმე და ბისმარკი ბერლინში დაბრუნებულა და ჰულ- ტაერი და პუიეპერტიე პერსალში. 30 აპრ. ბისმარკი ბერმანიის რეიხსტალის სხდომას დაესწრო და აი რა სთქვა იმან ამ მორიგებაზე: "იმ ხუთ მილიარდ კონტრიბუციაში, რომელიც უნდა მოგეცეს ჩვენ საფრანგეთმა, ნახევარი მილიარდი (ანუ ხუთასი მილიონი) ფრანკი უნდა გადაგვიხადონ ერთ თვეში — როცა პარიჟის არეულობას დაამშვიდებენ, ერთი მილიარდი უნდა გადაგეიხადონ წელს დეკემბერში და კიდევ ნახევარი მილიარდი 1872 წელს მაისში; დანარჩენი სამი მილიარდი კი 1874 წლის შარტამდი. დანარჩენი პირობები, როგორც წინეთ იყო, ისევე დარჩებიან". ბისმარკის აზრით, დღეის შემდეგ ბერმანიასა და საფრანგეთსშუა მკვიდრი მშვიდობიანობა დაფუძნდა po dedmento po manotadolo poro boblo of უნდა მოელოდეს ევროპა.

_ ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ, რომ პრუსიის შტაბის უფროსმა — მოლტკემ — ადრევე სთქვაო, რომ მორიგების შემდეგ პარიჟ-ന്റെ ചെയ്യുന്നൻ മെർലൂർാന രം ചിന്തെൻ 3oრიჟის კაპიტულაციის დროს ურჩეედა ბერმანიის იმპერატორს, რომ ნაციონალურ გვარ-രോധാര്യ മാർത്യാനത്യാത തന്ത്യ-നാനാന്ന, മാമ്പ്രാമ მაშინ პრუსიის სამხედრო რჩევაში იმას არ დაუჯერებსო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ

მკითხველს ეხსომება, რომ იმ მსოფლიო კრებამ, რომელიც შარშან იყო რომში პაპისაგან მოწვეული, სხვათა შორის გამოაცხადა რომის პაპის შეუცოდებლობა, ე. ი. დასდეა სარწმუნოების დოლმატათ, რომ ყველაფერი, holog hadal 3030 amobagal Cgood booda და კაცის სულისა და ხორცის მარგეგელი იქნებაო. ბმ დოლმატს მაშინ თვითონ კათოლიკე ეკკლესიაშიაც ბევრი მოწინა ღმდეგენი ამოუჩნდა და ზოგი კათოლიკე სახელმწიფოების მმართებლობაებიც ჩააფიქრა, რადგან ამათ ეგონათ, რომ "შეუცოდებლობის დოღმატს" შეიძლება პოლიტიკური ხასიათი მიეცესო. მაგრამ მას შემდეგ რაც რომის პაპს წაერთვა რომი და მასთან ყოველი სამოქალაქო უფლება (საერო ხელმწიფება), საეკკლესიო დოლმატს არავინ არ აწერს პოლიტიკურ მნიშვნელობას. მის ნაცვლათ ის მოძრაობა, რომელიც თვითონ კათოლიკებში მოახდინა ამ დოომატმა, ჯერაც არ დაწყნარებულა. სხვათა Jamob albanha asgbangamma andmandos abლაც ბესტრიაში. მრთმა ღეთის-მეტყველო მის პროფესორმა — Cილინგენმა — გამოაცხადა იქ, რომ ის არ აღიარებს იმ "შეუცოდებmadol caregool,, hadgened dlagera jagბამ დასღვა შარშან რომში ა. ფილინგერი გამო. ჩენილი ღვთის-მეტყველების მცოდნე და სწავლულია და იმის სიტყვას, უეჭველია, სხვა კათოლიკებზედაც დიდი გაელენა ექნებოდა, და ამიტომ რომის პაპი სდილობდა მიემხრო თავისკენ ეს "შემცდარი ეკკლესიის შვილი" და დაეთანხმებია შეუცოდებლობის დოღმატ-

ზე. მაგრამ დილინგერი თან და თან უფრო ჟინიანობას იჩენდა და რამდონიმე თხზულება დაბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ რომის ეკკლესია სრულიად იმ გზაზე აღარ მიდის, რომელიც ქრისტე-ლმერთმა და პირველმა ქრისტიანებმა დაუნიშნა იმასაო. რომის პაპმაha baba, had gand gashaggal Romatგერთან, განაყენა ის ეკკლესიისაგან. მას შემდეგ საშინელი ეკკლესიური მოძრაობაა ბვსტრიაში: ყოველი მხრიდამ, უნივერსიტეტებისაგან, სტუდენტებისაგან და სხვა და სხვა ქალაქებისა და საზოგადოებისაგან მოსდის **დ**ილინგერს ადრესები, რომელშიაც თანაგრძნობას და მადლობას უცხადებენ იმ წინააღმდეგობისათვის, რომელიც რომის პაპს გაუწია იმან.

იტალია

ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთს Nტა-

ლიის ქალაქებში რესპუბლიკური მოძრაობა იყო. მმართებლობამ შეიტყო სხვათა შორის, რომ რესპუბლიკელებს მილან ში და ბოლონიაში ჯარის აჯანყება სდომებიათ. თვითონ რომში რესპუბლიკელებს აპრილის 30-ს სდომებიათ არეულობის მოხდენა. ბმ დღეს, 1849 წ. გარიბალდიმ თავის რესპუბლიკელი მომხრეებით, განდევნა რომიდამ ფრანცუზის ჯარი, რომელსაც წინ ღენერალი უდინო უძღოდა, და ამ გამარჯეების დღესასწაულობის დროს წელს არეულობა უნდა მომხდარიყო, hazahy hadda, sahgongg bbgs Agsmand Joლაქებშიაც. ბმ დღესვე იტალიის რევოლიუციონერები ბრიუნეტის სახსენებლათ დღესას- დომებენ ამ ჩემ გვამზე ამოსული ხის ფართე შტოების წაულობენ ყოველ წელიწადს. ბრიუნეტი გამოჩენილი იტალიის პატრიოტი იყო, როშელიც თავის ორი შვილით ერთად დახვრიტეს ავსტრიელებმა. რევოლიუციონერებს და ყობილი ჰქონდათ საქმე: ისინი ძაპიტოლიში უნდა შეკრებილიყვნენ, აქედამ ყველანი ერთად უნდა წასულიყეენ ბრიუნეტის სასაფლაოზე და ქვა უნდა დაეგდოთ იმის სათლავზე; მერე პროცესია წავიდოდა იმ მაედანზე, სადაც 1849 წლის ფრანცუზების გამარჯეების ძეგლი სდგას და ეს ძეგლი უნდა და ექციათ, რადგან ის რესპუბლიკის დამარცხებას მოასწავებდა. მაგრამ ამ დღეს, დილიდამვი, കാധ കമ്പാര് മാക്ക വൃമ, ყველാ დാറാകാന്യბული დაიარებოდა ქუჩებზე და ფანტავდა გულისათვის პარიჟის ქალები გთხოვენ, რომ მორიგხალხს, რომელიც ალაგ-ალაგ ხელახლავ იქ რიდა თავს და ჰყვიროდა: "გაუმარჯოს მაძინის! გაუმარგოს რესპუბლიკას!" მთელი დღე საღამომდი რომში საშინელი მოძრაობა იყო. რამდონიმე პირი დაატუსაღეს და საპყრობიოეში ჩაამწყვდიეს, მაგრამ თოფ-იარაღი არავის არ უხმარია. ბანსაკუთრებით გაბრაზებულნი იყვნენ გარიბალდიელები, რომელნიც ემუქრებოდენ მმართებლობას: მოიცადეთ, მალე გადაგიხდით, რაც თქვენი ჯაერი გვიჭიmoder! Iman sadrabl, mad go smaggamas მაძინის თაობით მოხდაო, ზოგი პარიჟის ძომუნას აბრალებს. ის კი მართალია, რომ მენოტი ბარიბალდი და ზოგიერთი რესპუბლიკელი დეპუტატები არ**ე**ულების მომხდენლებისკენ იყვნენ, და საფიქრებელია, რომ მმარ-ത്യൂർന്നൻ ചിച്ച ഉള്യൂന്റെ എന്നു ക്കാര് പ്രത്യം ულიყო თავიდამვე, აჯანყებულები ბევრ მომხრეებს იშოვნიდენ და საქმე გაძნელდებოდა.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

3 1 h b s m n , 10 asolt, ad homogomadol ჯარი პარიჟში შევიდა; თხრილები ინსურგენტებმა მიატოვეს.

3 g h b s m n, 11 donth. 3ghbomnb gohds Obsern Majmob მაედანი დაიჭირა. ასსი და-

3 ერსალი. ფომბროვსკის გარსშმოერ-

ტყა მმართებლობის ჯარები. ტელიქს-პია დაატყვევეს.

by y os ho (agong sons an). Stoyho აჯანყებულები დაამშვიდეს.

676930

ბმას წინეთ ბმერიკაში მოკვდა ერთი შლიაპის მკეიებელი მდიდარი ვაჭარი; იმის ანდერძში სხვათა შორის ეწერა, რომ ჩემი გვამი და ამა და ამდენი ფული როფესორების: ბგასის და ბოლმისთვის შემიწირავსო იმ პირობით, რომ იმათ მოამზადონ ჩემი გვამი, როორც ანატომიის წესი ითხოვსო და ბარვარდის უნიერსიტეტის ანატომიის მუზეუმში შეინახონო. ბმას გარდა ვაჭარმა თავის ანდერძში სურვილი გამოაცხადა. რომ იმის ტუავისაგან ორი ბარაბანი გაეკეთებინათ და გადაეცათ ისინი "იმის ღირსეული მეგობრისა და პატრიოტის სიმსონისათვის, რომელიც მედოლეა პაგასოს ქალაქში". ბმ ბარაბანებზე ერთზე ამერიკული ნაციონალური გიმნი (სიმღერა) უნდა დასწერონ და მეორეზე წელიწაღი და დღე ბმერიკის შტატების განთავის. ლოთ ერთხელ წელიწადში, 17 ივლისს, მზის ამოსვლის წინ, როდესაც პირველათ გამოაცხადეს. ბმერიკის ინგლისისაგან დაუმოკიდებლობა. " დანარჩენი ნაწილები ჩემი გვამისა, რომელიც მუზეუმისთვის არ ივარგებენ, ამბობს შემდეგ მიცვალებული ვაჭარი, გადააკეთეთ ჰატივათ, მოაყარეთ ნიადაგს და ზედ ერთი ხე დარგევით: ჩემთვის სანუგეშოთ იქნება, როდესაც დაღლილი მოგზაური მოსვენებას, ან ბაეშვები თამაშობას მოინ-

ნიუ-იორკის ფოჩტაში ყოველ დღე ათასი ფუთი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები მოდის. ბმათ გასარჩევათ და დასატარებლათ დაყენებულია ხუთასი ფოჩტის ჩინოვნიკი და სამასი დამტარებელნი (ფოჩტალიონები).

Na ქალაქებსა და საზოგადოებებს გარდა, რომელ თაც, მეომარი მხარეების მოსარიგებლათ, თავის დეპუტაციები გაგზავნეს პარიჟში და მერსალში, მაგრამ რომელთაც ჯერ ვერა გაარიგეს რა, — პარიჟის ქალებსაც მოუნდომებიათ მშვიდობიანობის მოხდენა; მაისის ოთხს იმათ შემდეგი განცხადება მიაკრეს კედლებზე:

"საცთ-მოყვარეობის, თავის პატივისა და მამულის დეთ. ის თაგგანწირულება, რომელიც წასულ ზამთარს პარიჟის ქალებმა გამოიჩინეს, უფლებას აძლევს იმათ, რომ იმათ თხოვნას ორივე პარტია ყურადღებას მიაქცევს. ისინი სთხოვენ პარიჟსაც და მერსალსაც — დაჰყარონ თოფ-იარალი ერთი-ორი დღით მაინცა, რომ ერთკი მანეთის სისხლის მსმელ ძმებს შეეძლოთ მოლაპარაკე ბა და მორიგება. უველა პარიჟის ქალვბი, ყველა ისინი, რომელთაც დღეს თუ ხვალ შეიძლება აკვანში მოუკლან ყუმბარით შვილები, ყველა ისინი, რომელთ მამები, ქმრები და ძმები იბრძვიან პარიჟის სიმაგრეებში და იმათ მახლობელ ადგილებში, ერთი სიტყვით, ყველა მშვიდობიანი და ალტაცებული ხასიათის პატრონი ქალები 3ერსალსა და პარიჟს სისხლის ღვრის შეწყვეost bookinggo."

შენიშნულია, რომ ომიანობის შემდეგ ყოველთვის სხვა და სხვა ავათმყოფობა ჩნდება იმ ადგილებში, სადაც ბრძოლა იყო და მერე სხვა ქვეყნებშიაც ვრცელ დება. ეს მოხდება ერთის მხრით იმისაგან, რომ ბრძოლაში დახოცილებს ერთ დიდ ორმოში ჩაჰყრიან ხოლმე, ხანდისხან ასს და ორას გვამს ერთად და ამის გამო იმათი სიდამპლის სუნი ავათმყოფობას აჩენს; მეორეს მხრით, რადგან ყველა ახალგაზდა და ჯანმთელი ხალხი ბრძოლის ველზეა ხოლმე გამოწვეული, ომიანობის დროს, შინ თითქმის არავინ არ რჩება, მიწას არავინ შეამუშავებს და შიმშილობა ჩამოვარდება.

of C. della cond, * omopod policy

ბი, ორი უმთავრესი უბედური გარემობა, რომელნიც მოსდევენ ყოველ ომიანობას და რომლიდგანაც ათასნაირი ავათმყოფობა ჩნდება ქვეყანაში.

ბმიტომაც წელს, გათავდა თუ არა საშინელი ბრძო-

ლა საფრანგეთსა და ბერმანიას შუა, იმწამეე დააწესეს კამისიები, რომელთაც უნდა გამოეკგლეაფი ბრძოლის ველები და მოეხდინკო <u>განკარველება</u> ტომ მკვდრებსაგან მავნებელი სუნი არ დამდგარიყო. ერთი ამისთანა კამისია, რომელიც მეცში იყო, აცხადებს ახლა თავის მოქმედების ანგარიშს და ამ ანგარიშიდამ ვტყობულობთ, რომ ერთ ადგილას მარტო თოთხმეტი ვერსის სივრცეზე25,000 კაცი უნახავთ, რომელნიც ას-ასი და ზოგან ათას-ათასი ეყარენ თურმე ერთად დიდ ორმოებში, და ზევიდამ ერთი არშინი მიწის მეტი არ ქონდათ მიყრილი. ამისიამ უფრო ღრმა ორმოები ამოთხარა და ეს გვამები შიგ ჩააყრევინა. ბმას გარდა იქვე ეყარა თურმე აუარებელი თუ ცხენების და თუ სხვა საქონლის მძოვრები, რომელნიც სულ დაწვეს. ბრძოლის ველები ამ ჟამად დაუხნავთ და ზედ პური დაუთესიათ და ხეები დაურგავთ.

ლეკებს შეუტყვიათ, რომ ერთ დროს იმათი იმამი შამილი—ამ მოკლე ხანს მაბას მომკვდარა, და ისინი მბობენ თურმე, რომ კეთილი საქმეებისა და სასოებისათვის ლმერთმა იმით დაასაჩუქრა შამილიო,რომ წმინდა ქალაქში მიცვალების ბედნიერება მიანიჭაო.

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ერთი გამოჩენილი ინგლისელი მოგზაური — დავით ლივინგსტონი დაიარება ბფრიკის შუაგულ ადგილებში და იკვლევს იქაურ ბუნებას და იქაურ ბარბაროსული მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას, ჩვეულებას და ხასიათს. ლივინგისტონმა ბევრი ისეთი ადგილები და ხალხები ასწერა, რომელთაც მვროპა სრულიად ვერ იცნობდა; იმან დაიარა ისეთი ადგილები, სადაც არცერთ განათლებულ ევროპიელს არ დაუდგამს ფეხი. სამი წელიწადი იქნება, რაც ლივინგსტონისაგან არაფერი ამბავი არ მოდიოდა და ყველას ეგონა, რომ უთუოთ ბარბაროსებმა მოკლეს სადმეო; მაგრამ ახლა ინგლისის მინისტრს, ბრენვილს, მოუვიდა წიგნი, ტომელშიაც აცნობებენ, რომ ლივინგსტონი ცოცხალია და მალე **ი**ნგლისში დაბრუნებას აპირებსო.

PRINCIA PLANTARIA PLANTARIA PLANTARIA PLANTARIA PLANTARIA ᲒᲘᲒᲚᲘ**Ო**ᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ CEMBS

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲒᲐᲜᲘ, თქმულეპისკოპოზის გაბიელის მიერ, დაბეჭდილნი მეორეს გამოცემით, რომელი არის შევსებული 73 ახლითა ქადაგებითა, ისყიდებიან: თვილისში, სასულიერო სემინარიაში ი. ბოგებაშევლასას, და ბლადათოვის წიგნების მაღაზიაში, ქულიაისში — თვით ეპისკოპოზის სახლში. ასი ეგზემპლიარისა სქელ ქაღალდზედ დაბექდილის ორი მანეთი, თხელზედ—მანეთ-ნა-

A CHOICE CONTRACTOR CO

06906999

നഭാവത്യാരെ

URIUSUCE

J. Oghahadyhastan | J. balat hadsondgbშ. ბლადათოვის წიგ- თან, პრინცის სტამნის მალაზიაებში.

Onon Bonho.

1 — "საწერი რვეული", სურათებით შედგენილი შკოლებისთვის. ბმ რვეულით ყმაწვილი ადვილათ ჰსწავლობს ქართულ წერასა.

2. - " კატა აწონა", ახალი კომედია ന്ന მოქმედებათ.

თფილისს გარეშე მცხოერებლებს შეუძლიანთ ფოჩტით მოითხოვონ ეს წიგნები ა ა ტერგრიქურიანცისგან, არცრუნის A Johngolmo Jn.